<u>დანართი #1</u>

**ღია კონკურსის პროგრამა, პირობები, კანდიდატის შეფასების ფორმა და ჩატარების გრაფიკი**

<u>ვაკანტური თანამდებობა</u>

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის რეგიონული საქმიანობის კოორდინაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეცისლიტი

სამუშაო განკვეთი: სრული

ანაზღაურება: 1000 ლარი (დარიცხული თანხა)

<u>საკონკურსო კომისიის მისამართი</u>

მისამართი: 0198 თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №99

ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge

ტელეფონი: 116001

<u>ძირითადი, სპეციალური და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები</u>

**სავალდებულოა:** მაგისტრის აკადემიური ხარისხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით;

**სავალდებულოა:** 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით;

**სავალდებულოა:** კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office: Word, Excel, Power Point, Outlook);

**სავალდებულოა:** ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;

**სავალდებულოა:** ინგლისური ენის ცოდნა (B1 ან B2 დონე);

**უნარ-ჩვევები:**

გუნდური მუშაობის უნარი;

ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

დროის ეფექტურად მართვის უნარი

**სამართლებრივი აქტების ცოდნა:**

- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“
- საქართველოს კანონი ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ''
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- მთავრობის დადგენილებები „სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“

**ფუნქციები**

- „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის აქტივობების მართვა და კოორდინაცია:
- სახელმწიფო პროგრამების დიზაინის, საჭიროების შემთხვევაში მისი ცვლილებების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა;
- სახელმწიფო პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების შემუშავებაში მონაწილეობა;
- პროგრამებით განსაზღვრული შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სპეციფიკაციების შემუშავება;
- სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების საანგარიშგებო ფორმების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების მომზადება-გაფორმების პროცესში მონაწილეობა;
- პროგრამების მიმდინარეობის და შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება შესაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით;
- ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ მოდულებში მუშაობა, კომპეტენციის შესაბამისად;
- მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მონიტორინგი;
- სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებულ კორესპონდენციასთან მუშაობა;
- სახელმწიფო პროგრამის მართვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- თემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.

- **კონკურსის წესი**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია და შეავსონ აპლიკაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა ატვირთოს:

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი);

- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;

- მიუთითოს ერთი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.

დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

**<u>კონკურსის ეტაპები</u>**

- განცხადებების გადარჩევა
- გასაუბრება

**<u>გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა</u>**

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 3 თვის ვადაში.

## კანდიდატის შეფასების ფორმა

---

### ცოდნა და გამოცდილება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | განათლება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

---

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | პროფესიული ცოდნა, გამოცდილება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

---

### ზოგადი კომპეტენციები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანალიტიკური აზროვნება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

---

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | შედეგებზე ორიენტაცია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

---

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | კომუნიკაციის უნარი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

---

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მისწრაფება (მუშაობის სურვილი, მოტივაცია) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | გუნდური მუშაობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

| | |
|---|---|
| საერთო შეფასება (ქულების ჯამი) | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანდიდატის დამატებითი დახასიათება/კომენტარი | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| 1 | მიუღებელი | 2 | საშუალოზე დაბალი | 3 | საშუალო | 4 | კარგი | 5 | ძალიან კარგი |

**გადაწყვეტილება:** მივიღოთ ☐ ☐ არ მივიღოთ

**კომისიის წევრი:** _____